



კლასი



2017 წ. საგაზაფხულო სეზონი
დამატებითი ტური


სახელი, გვარი, ტელეფონი


სკოლა


მათემატიკის მასწავლებელი

1) ნათიამ სულ 12 ვარსკვლავი უნდა დახატოს. მას ყოველ ერთ წუთში 2 ვარსკვლავის დახატვა შეუძლია.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


 ა) სულ რამდენი ვარსკვლავი უნდა დახატოს ნათიამ?
1) 12 ვარსკვლავი 2) 10 ვარსკვლავი 3) 2 ვარსკვლავი


 ბ) რამდენი ვარსკვლავის დახატვა შეუძლია ნათიას ერთ წუთში?
1) 6 ვარსკვლავის 2) 2 ვარსკვლავის 3) 1 ვარსკვლავის


 გ) რამდენ წუთში შეუძლია ნათიას 12 ვარსკვლავის დახატვა?
1) 12 წუთში 2) 6 წუთში 3) 2 წუთში

2) ცარიელ ავტობუსში პირველ განჩერებაზე 8 მგზავრი ავიდა. მეორე განჩერებაზე კი 2 მგზავრი ჩავიდა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


 ა) რამდენი მგზავრი ავიდა ცარიელ ავტობუსში პირველ განჩერებაზე?
1) 8 მგზავრი 2) 6 მგზავრი 3) 2 მგზავრი


 ბ) რამდენი მგზავრი ჩავიდა ავტობუსიდან მეორე განჩერებაზე?
1) 8 მგზავრი 2) 6 მგზავრი 3) 2 მგზავრი


 გ) რამდენი მგზავრი აღმოჩნდა ავტობუსში მეორე განჩერების შემდეგ?
1) 10 მგზავრი 2) 6 მგზავრი 3) 4 მგზავრი

3) გიორგის მხოლოდ 1 ცალი 20-თეთრიანი მონეტა ჰქონდა, რომელიც მან 5-თეთრიან მონეტებად დაახურდავა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) რამდენთეთრიანი მონეტა დაახურდავა გიორგიმ?
1) 5-თეთრიანი 2) 10-თეთრიანი 3) 20-თეთრიანი

 ბ) რამდენთეთრიან მონეტებად დაახურდავა გიორგიმ ფული?
1) 20-თეთრიანებად 2) 10-თეთრიანებად 3) 5-თეთრიანებად

 გ) რამდენი მონეტა აქვს ახლა გიორგის?
1) ერთი 2) ოთხი 3) ხუთი

4) დემეტრემ ტყეში 6 სოკო იპოვა, მაიკომ კი – 7. ორივემ სოკოები ცარიელ კალათში ჩააწვეს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი სოკო იპოვა დემეტრემ?

1) 6 სოკო

2) 7 სოკო

3) 13 სოკო



ბ) რამდენი სოკო იპოვა მაიკომ?

1) 6 სოკო

2) 7 სოკო

3) 13 სოკო



გ) რამდენი სოკო აღმოჩნდა კალათში?

1) 6 სოკო

2) 7 სოკო

3) 13 სოკო

5) მსხლის ხე დაბალია ვაშლის ხეზე მაგრამ მაღალია ატმის ხეზე.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) მსხლის ხე უფრო დაბალია, თუ ვაშლის ხე?

1) მსხლის ხე

2) ვაშლის ხე

3) ტოლია



ბ) მსხლის ხე უფრო დაბალია, თუ ატმის ხე?

1) ატმის ხე

2) მსხლის ხე

3) ტოლია



გ) ატმის ხე უფრო დაბალია, თუ ვაშლის ხე?

1) მსხლის ხე

2) ვაშლის ხე

3) ატმის ხე

6) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა რიცხვი 12. მოსწავლემ დაფაზე დაწერა მასწავლებლის მიერ დაწერილ რიცხვზე ერთით მეტი რიცხვი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა რიცხვი დაწერა დაფაზე მასწავლებელმა?

1) რიცხვი 14

2) რიცხვი 13

3) რიცხვი 12



ბ) რა რიცხვი დაწერა დაფაზე მოსწავლემ?

1) რიცხვი 14

2) რიცხვი 13

3) რიცხვი 12



გ) რას უდრის მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვების ჯამი?

1) 23-ს

2) 24-ს

3) 25-ს

7) საზამთრო ათ კილოგრამს იწონის, ნესვი კი – ხუთს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რას იწონის საზამთრო?

- 1) 20 კილოგრამს 2) 10 კილოგრამს 3) 5 კილოგრამს



ბ) რას იწონის ნესვი?

- 1) 20 კილოგრამს 2) 10 კილოგრამს 3) 5 კილოგრამს



გ) რას იწონის ნახევარი საზამთრო?

- 1) 20 კილოგრამს 2) 10 კილოგრამს 3) 5 კილოგრამს



დ) რას იწონის საზამთრო და ნესვი ერთად?

- 1) 15 კილოგრამს 2) 10 კილოგრამს 3) 5 კილოგრამს

8) ირმა 3 წლისაა, ვატო კი – 2-ის. თუ ირმას წლოვანებას მიუმატებთ ვატოს წლოვანებას მივიღებთ კოტეს წლოვანებას.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი წლისაა ირმა?

- 1) 3 წლის 2) 2 წლის 3) 5 წლის



ბ) რამდენი წლისაა ვატო?

- 1) 3 წლის 2) 2 წლის 3) 5 წლის



გ) რამდენი წლისაა კოტე?

- 1) 3 წლის 2) 2 წლის 3) 5 წლის



დ) რას მივიღებთ, თუ შევკრებთ ირმას, ვატოს და კოტეს წლოვანებებს?

- 1) 5 წელს 2) 8 წელს 3) 10 წელს



9) დედას ჰქონდა სამი 10-თეთრიანი, ერთი 20-თეთრიანი და ოთხი 5-თეთრიანი. მან შვილებს მისცა ორი 10-თეთრიანი და ოთხი 5-თეთრიანი. რამდენთეთრიანი მონეტები დარჩა დედას?

- 1) 5-თეთრიანი და 10-თეთრიანი 2) 5-თეთრიანი და 20-თეთრიანი

3) 10-თეთრიანი და 20-თეთრიანი



10) ნინო, მაია და სოფო სამსართულიან სახლში ცხოვრობენ. მაია ბოლო სართულზე ცხოვრობს, ნინო კი პირველ სართულზე ცხოვრობს. ვინ ცხოვრობს მეორე სართულზე?

- 1) სოფო 2) მაია 3) ნინო